მურმან ბლიაძე

ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები

მურმან ბლიაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ჩემ თემაში მე ვსაუბრობ დღევანდელ პრობლემებზე,ეკოლოგიაზე კერძოდ ტურიზმში და ეკონომიკაში,აღწერილი მაქვს თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემის გადაჭრა თანამედროვე მსოფლიოში,ბაანალიზებ რა არის პლიუსები და მინუსები ტურიზმში და ეკონომიკაში ეკოლოგიის მიმართულებით, მე ვფიქრობ რომ სხვადასხვა ქვეყნების გაერთიანება დაიცავს და გადაარჩენს დედამიწას,ამ ყველაფერზე უნდა იზრუნოს განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელობამ,რადგან დღეს-დღეობით გარემოს დაცვითი კატასტროფები მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მსოფლოში აქტუალური გახდა საუბარი ეკოლოგიურ კრიზისზე,სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ეკოლოგია გახდა " საზოგადოებრივი ტერმინი" . ტერმინი "ეკოლოგია" პირველად გამოიყენა 1866 წ გერმანელმა ბიოლოგმა ერნესტ ჰაინრიხ ჰაეკელმა.

კეთდება შემაშფოთებელი პროგნოზები, გლობალურ ეკოლოგიათა პრობლემებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია ოზონის სფეროს დეგრადაცია, გლობალური დათბობა და გაუდაბნოება. ასევე დიდი დაბინძურება წიაღისეული საწვავის გამოყენების მიზეზია, თანამედროვე საზოგადოება უბრალოდ წარმოუდგენელია ბენზინის, ნავთობისა და ქვანახშირის გარეშე, რადგან ისინი დომინირებენ ინდუსტრიულ სამყაროში.

ცივილიზებული კაცობრიობა აქტიურად იბრძვის ეკოლოგიური პრობლემების დასაძლევად და ბუნებრივი გარემოს დასაცავად. სწრაფად იზრდება რესურსებისა და ენერგიის დამზოგი ტექნოლოგიები, მატულობს დაცული ტერიტორიების ფართობები და ა.შ. განსაკუთრებულ წარმატებებს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეში მიაღწიეს ევროპისა და ჩრ ამერიკის ქვეყნებმა.

ეკოლოგიური პრობლემების დასაძლევად დიდი თანხებია საჭირო, რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის რთულ ამოცანას წარმოადგენს. გარემოს დაცვა შეგვიძლია პირდაპირ დავუკავშიროთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს. უკანასკნელ წლებში ძალიან დიდი ყურდღება ეთმობა ტურისტულ რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას. ამა თუ იმ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისა და ხასიათის მთავარი პირობა ქვეყნის ტურისტული რეკრეაციული რესურსებია. განარჩევენ ბუნებრივ რეკრეაციულ და კულტურულ შემეცნებით რესურსებს. ტურზმის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ბუნების სილამაზე და ეკოლოგიური სიჯანსაღე.

ქვეყნების ნაწილში ტურიზმის ძირითადი სახე დასვენება და გაჯანსაღებაა. რეკრეაციული რესურსებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხმელთაშუა ზღვის სახელგანთქმულ კურორტებს, ასევე კარიბის ზღვის ინდოეთისა და წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახემწიფოებს.

გლობალური დათბობის პირობებში დაწყებულია მყინვარების დნობა არქტიკასა და ანტარქტიდაში , ასევე მაღალ მთებში, რაც საფრთხეს უქმნის ინდოეთისა და წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფოებს, რაც გამოიწვევს მათი რეკრეაციული რესურსებისა და შესაძლოა სახემწიფოს გაქრობასაც.

კულტურულ შემეცნებითი ტურიზმის უდიდეს ცენტრებს მსოფლიოში წამოადგენენ, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი და სხვა.

შემეცნებითი რესურსებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების ძეგლებს და მდიდარ მუზეუმებს.

ევროპის ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ავსტრია, გამოირჩევა, როგორც შემეცნებითი, ისე რეკრეაციული ტურიზმით. შვეიცარი კი, პირველ რიგში, ულამაზესი მთის ლანდშაფტებისა და ძვირადღირებული კურორტებითაა განთქმული.

ისეთი ქვეყნები,როგორიცაა: დიდი ბრიტანეთი, სკანდინავია, გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი

ტურისტთა ინტერესს ისტორიული ქალაქებითა და ხელოვნების ნიმუშებით იქცევენ. ხოლო აღმოსავლეთი ტურისტული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო რეგიონია. ისეთი ქვეყნები,როგორიცაა: ისრაელი,იორდანია,სირია,ერაყი რჩებიან შემეცნებითი ტურიზმის მნიშვნელოვან ობიექტებად მსოფლიო მაშტაბით. სპარსეთის უბის არაბული ქვეყნები შოპტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ. ხოლო როგორიცაა : იერუსალიმი, ბეთლემი,ნაზარეთი,მექა და მედინა არაბეთში მილიონობით პილიგრიმს იზიდავს. ამიტომ ახლო აღმოსავლეთი რელიგიური ტურიზმის მთავარი რაიონია მსოფლიოში.

სკანდინავიის ქვეყნებმა ყურადღება მიიქცია ველური ბუნებით, აქ უამრავი ტურისტი ჩადის.

ვითარდება აგრო ტურიზმი.

დღეს ტურიზმი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი დინამიურად განვითარებადი სფეროა. მისი მაღალი ზრდისა და განვითარების ტემპები, უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი მოცულობა, ინფრასტუქტურის განვითარება და ახალი მენეჯმენტისა და საგანმანათლებლო გამოცდილების დანერგვა აქტიურად მოქმედებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე,რაც დადებითად უწყობს ხელს ქვეყნის მთლიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

დასავლეთის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა, მაგალითად ავსტრიამ, იტალიამ და შვეიცარიამ თავიანთი სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნაწილი დააგროვეს ტურიზმის მოგებაზე. ბოლო სტატისტიკის თანახმად, ტურიზმი უზრუნველყოფს მსოფლიოს შემოსავლის დაახლოებით 10%-ს და დასაქმებულია მსოფლიოს მშრომელთა თითქმის ერთი მეათედი. მრავალი ადამიანი ხაზს უსვამს ტურიზმის პოზიტიურ ასპექტებს, როგორც უცხოური ვალუტის წყაროს. ტურიზმის ეკონომიკური ბუმის უამრავი სხვა და უარყოფითი მხარე არსებობს ასევე ადგილობრივი თემებისთვის, რაც ყოველთვის არ განიხილება ტურიზმის პერსპექტივების დამცველების მიერ. მაგალითად, ხაზს გავუსვამ, ყველაზე მეტად დაბინძურებულ სანაპიროებს, რომლებიც ტროპიკულ რეგიონებში გვხვდება, სადაც ტურისტების დიდი ნაკადია. შეგროვილი ნარჩენების 90%-ი რეკრეაციულ ნაგებობებსა და თამბაქოს ნამწვავზე მოდის, შეგროვებული ნარჩენებიდან 32% თამბაქოს ნამწვია, 35% საკვების შესაფუთი პლასტიკური მასალები, 4% ალუმინის ქილები, 5% მინის ბოთლები, 8% ცელოფნები და 16% სხვა ნარჩენები.

საკრუიზო გემების მოგზაურობის დროს,ყოველკვირეულდ 800000 ლიტრი საკანალიზაციო წყალი და 3,8მლნ ლიტრი ნაბანი წყალი იღვრება,ასევე იყრება 8000 კგ. მყარი ნაგავი და დიდი რაოდენობით ტოქსიკური პროდუქტი.

ეკოტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი და ეკონომიურად ეფექტური სექტორია მსოფლიო ეკონომიკის სფეროში. ტურისტთა ჩამოსვლის რაოდენობა ყოველ დღე იზრდება, თუმცა ასევე ტურისტული რესურსის შემცირება პროპორციულად იზრდება. მუდმივად მზარდი ტურისტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება ტურისტული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ეს იყო ეკოტურიზმის გაჩენის მთავარი მიზეზი. ეკოტურიზმის განვითარება ყველაზე სრულყოფილი და, ალბათ, ერთადერთი გზაა ტურისტული საქმიანობის შედეგად ეკოსისტემებზე უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით.

ტურიზმს სამი ძირითადი გავლენა აქვს, კერძოდ, სოციო-კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური გავლენა.

ეკონომიკური საქმიანობა იმდენად მასშტაბურია, რომ მისმა გავლენამ შეიძლება შეაფერხოს პლანეტის სიცოცხლის შენარჩუნება. თუ მსოფლიო გარემოს დაცვაზე არ იზრუნებს, ტურისტულ ობიექტებსაც განადგურება ემუქრებათ (ატმოსფეროს დაბინძურებით, მჟავური წვიმებით) მაღალი ტემპერატურა ხშირად იწვევს კატასტროფებს, ნადგურდება უნიკალური მცენარეები და ცხოველები. მაგალითად, გავიხსენოთ 21-ე საუკუნის უდიდესი ტრაგედია, ამაზონის ტყის დაწვა, რომელიც ცნობილია ” მსოფლიოს ფილტვები” სახელწოდებით, სადაც მოდის მსოფლიო ჟანგბადის 20%-ი. განადგურდა უნიკალური სახეობის ფლორა და ფაუნა, რომლის აღსადგენადაც საუკუნეებიც კი შეიძლება იყოს საჭირო. ეკოლოგიურ პრობლემებთან ბრძოლა ერთი სახემწიფოს ფარგლებში შეუძლებელია, მას სჭირდება მსოფლიო ქვეყნების გაერთიანება და ეკოლოგიური თანამშრომლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://articlekz.com/article/13812?fbclid=IwAR345gVJ6C8xtdN3BoB3ETi0e6i35gIpS-FJM690HHDG-yOfZGhxySDn0f4o
2. https://ecological-problems.blogspot.com/2009/01/ecology-and-ecological-problems.html?fbclid=IwAR18DkC6fdi15E7Gsoy99je4qQzenjtjOWrPfRcdOCB2VCY5gzG0z6m04Mo

Modern problems of ecology

Murman Bliadze

professor of GTU

Summary

In my topic,I try to talk about the current problems of ecology in the field of tourism and economics.

I have described how the modern world can combat these problems.

What are the advantages and disadvantges of tourism in ecology and economics.

I think that uniting and fighting for the nations of the world will save the earth.all of this must be carried out under the leadership of the great developd nations, because today's environmental catastrophe is not just a problem for one particular country.